**ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №-01-19/219

2011 წლის 4 აპრილი
ქობულეთი

## დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე-2 ეტაპი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10$^{2}$ მუხლის, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად <u>ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:</u>

1. დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე-2 ეტაპი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვის მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ასლან ყურშუბაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი – კომისიის თავმჯდომარე;
არჩილ დუმბაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
ნათია ლორია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის მდივანი;
ფატი ჯინჭარაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
ოლეგ კარალიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
ზაალ ბაჯელიძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
გურამ ვერულიძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი – კომისიის წევრი.

2. სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით კომისიის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შეიქმნას სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

დავით ნოღაიდელი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი;

ბადრი რომანაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;

3. საჭიროების შემთხვევაში კომისიის მუშაობის პროცესში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

4. კომისია მუშაობას წყვეტს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე

დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე-2 ეტაპი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის სხდომის

**ოქმი №1**

ქ. ქობულეთი 20 მაისი 2011 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:** კომისიის თავმჯდომარე – ასლან ყურშუბაძე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – არჩილ დუმბაძე, კომისიის წევრები: ფატი ჯინჭარაძე, ოლეგ კარალიძე, ზაალ ბაჯელიძე, გურამ ვერულიძე.

კომისიის მდივანი – ნათია ლორია.

აპარატის წევრები: დავით ნოღაიდელი, ბადრი რომანაძე.

**დღის წესრიგი:**

დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე-2 ეტაპი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვის მიზნით ხელახალი კონკურსის გამოცხადების თაობაზე განცხადების, საკონკურსო პირობების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

**(მომხსენებელი:** კომისიის მდივანი – ნათია ლორია)

**მოისმინეს:** მომხსენებელმა წარმოადგინა კომისიის აპარატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო პირობებისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების პროექტი.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია (დანართის სახით მიეთვისა ოქმს).

ზეპირი ვაჭრობა გაიმართოს საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღეს.

შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტთა შეფასება განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმებით და კრიტერიუმების კოეფიციენტებით: მომსახურების ღირებულება – 0,5; გამოცდილება – 0,4; ვადა – 0,1.

კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ წინადადებას.

**დაადგინეს:**

1. დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტაცია და საკონკურსო განცხადება.
2. ზეპირი ვაჭრობა გაიმართოს საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღეს.
3. შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტთა შეფასება განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმებითა და კრიტერიუმების კოეფიციენტებით: მომსახურების ღირებულება – 0,5; გამოცდილება – 0,4; ვადა – 0,1.

4. აპარატმა უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის გადაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში.

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე: | ასლან ყურშუბაძე |
| კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: | არჩილ დუმბაძე |
| კომისიის წევრები: | ოლეგ კარალიძე |
| | ფატი ჯინჭარაძე |
| | ზაალ ბაჯელიძე |
| | გურამ ვერულიძე |
| კომისიის მდივანი: | ნათია ლორია |
| აპარატის წევრები: | დავით ნოლაიძელი |
| | ბადრი რომანაძე |

# საკონკურსო განცხადება

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურს ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კერძოდ: დაბა ოჩხამურში შემავალი დასახლებების (აგურის, ქვედა ოჩხამურის, ზედა ოჩხამურის, ტუნგოს, ცეცხლაურის, ლიმონტრესტის, თიკერის, ჯიხანჯურის, ზაღჩების) წყალმომარაგებისა და ინდივიდუალური გამრიცხველიანების სისტემის მოწყობის დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

3.1. დეფექტურ აქტებს, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს საპროექტო ორგანიზაციის და შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ;

3.2. განმარტებითი ბარათი;

3.3. სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო (მუშა ნახაზები) დოკუმენტაცია.

4. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს 19960 (ცხრამეტიათას ცხრაას სამოცი) ლარს. საკონკურსო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს წინამდებარე კონკურსით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და კონკურსში მონაწილეობის საფასური დალუქვის გარეშე, ასევე დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადება, რომელიც უნდა მოიცავდეს დაბა ოჩხამურში შემავალი დასახლებების (აგურის, ქვედა ოჩხამურის, ზედა ოჩხამურის, ტუნგოს, ცეცხლაურის, ლიმონტრესტის თიკერის, ჯიხანჯურის, ზაღჩების) წყალმომარაგებისა და ინდივიდუალური გამრიცხველიანების სისტემის მოწყობის დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულებას, ინფორმაციას კონკურსანტის ანალოგიური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგების გამოცდილების შესახებ (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები), ასევე საკვალიფიკაციო მონაცემებს.

5.1. ზემოთაღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული კონვერტით 2011 წლის 27 მაისს 11:00 საათმდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

5.2. ზეპირი ვაჭრობა გაიმართება 2011 წლის 27 მაისს 11:30 საათზე.

საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის $19^1$ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

5.1 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. კონკურსანტის მიერ „6,1" ქვეპუნქტით განსაზღვრული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

7.1 პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ.
- ორგანიზაციის რეკვიზიტებს.
- ინფორმაციას ანალოგიური ხასიათის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილების შესახებ. პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის მომსახურებები, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება–ჩაბარების აქტები;

7.2. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემები, როგორც იურიდიული პირებისათვის, ასევე ინდივიდუალური მეწარმეებისათვის

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
- ცნობა შესაბამისი უწყებიდან რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება.
- ცნობა მიმდინარე ანგარიშზე ინკასოს არარსებობის შესახებ.
- ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

*შენიშვნა:*

*1) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დასმული, ხელმოუწერელი და ბეჭდით დაუსმელი დოკუმენტაცია არ განიხილება და უკან დაუბრუნდება კონკურსანტს.*

*2) პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.*

8. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების ვადის დასრულების პერიოდის გათვალისწინებით.

9. კონკურსანტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია მოახდენს ამ კონკურსანტის დისკვალიფიკაციას.

10. არარეზიდენტმა კონკურსანტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

11. კონკურსში გამარჯვებულმა პირმა სრულყოფილი პროექტი უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება არ განიხილება.

13. პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნებს.

14. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

- გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება)

- საავტორო ზედამხედველობის განხორციელების ვადა – სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პერიოდი.

15. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეფასდება ათბალიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების შესაბამისად.

15.1 საკონკურსო წინადადების ფასი – კოეფიციენტი 0,5

15.2 კონკურსანტის გამოცდილება – კოეფიციენტი 0,4

15.3 პროექტის შედგენის ვადა – კოეფიციენტი 0,1

16. კონკურსში გამარჯვების გამოვლენის მთავარი კრიტერიუმი არ არის კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დაბალი ფასი. საკონკურსო კომისია გამარჯვებულს გამოავლენს მისი წევრების მიერ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

17. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება 2011 წლის 30 მაისის 18:00 საათამდე, რის შესახებაც წერილობით ეცნობებათ დაინტერესებულ პირებს.

18. კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან, გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

19. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადაა საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

20. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალი ბრძანება №3–ის „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" საფუძველზე.

საკონკურსო კომისია

პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

**წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.**

ქ. ქობულეთი „——“ „——————“ 2011 წელი

ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 ) და მეორეს მხრივ —————————— (შემდგომში - მიმწოდებელი)
(მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)
იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (კონკურსის ნომერი) ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ——————————ლარად (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").
(ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;
1.4 "მიმწოდებელი" – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი
2.2 კოორდინატორის ფუნქციებია:
2.2.1 გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება;
2.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

**3.** ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე-2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

**4.** სტანდარტები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და დადგენილ სტანდარტებს.

**5.** მომსახურების გაწევის პირობები

5.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში.

**6.** შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**7.** ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება არ განიხილება.

**8.** მხარეთა უფლება–მოვალეობები

**8.1** შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

**8.2** შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით;

**8.3** მიმწოდებელი უფლებამოსილია:
8.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

**8.4** მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება,
8.4.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
8.4.3 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
8.4.4 უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობის განხორციელება პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება) სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დასრულებამდე.

**9.** ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 1%–ს ოდენობით,
10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

**11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) მხარეთა შეთანხმება;
ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
გ) ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

**12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია**

12.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მომსახურება განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნის დაცვით.

**13. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)**

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

**14. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღისგანმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**15.** ხელშეკრულების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და წყვეტს მოქმედებას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასრულებისთანავე.

**16.** განსაკუთრებული პირობები

16.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, გვერდზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;
16.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება „მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

17. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
17.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"–ს ქობულეთის ფილიალი, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000,** საიდენტიფიკაციო კოდი 247001890;
17.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

18. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

18.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ________________________________
18.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ________________________
18.3 „მიმწოდებელი"– ________________________________________

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

________________________________________________

„მიმწოდებელი"– „________________________"

________________________________________________

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შ. პ. ს.
„აჭარსპეცპროექტი"

GEORGIA
AUTONOMIUS REPUBLIC OF AJARA
L. T. D.
„AJARSPECPROEQTI"

ქ. ბათუმი,
ზ. გამსახურდიას ქ. 21
☎ (877) 42-22-50, 7-47-84

jemal.gogitize@gmail.com:

№ 133
27 მაისი 2011წ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
სატენდერო კომისიას

თქვენი საკონკურსო განცხადება #78 23.05.2011წ. თანახმად წარმოგიდგენთ საკონკურსო დოკუმენტაციას ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

1. საკონკურსო წინადადება -1 ფურც.
2. რეკვიზიტები (დანართი -2) -1 ფურც.
3. ინფორმაციები (დანართი -3) - ფურც.

პატივისცემით,

შ.პ.ს. „აჭარსპეცპროექტი"-ს დირექტორი: ჯემალ გოგიტიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა
შემოს. № 1330
„27" 05 2011 წ

## ელექტრონული საგადახდო დავალება N 549
"27" მაისი 2011 წელი

გადამხდელის დასახელება: შპს აჭარაკურორტები

ანგარიში (ვალუტა) GE90BG0000000285162700 (ეროვნ. ვალ.)

ბანკის კოდი BAGAGE22

გადამხდელის ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"

ფაქტიური გადამხდელის სახელმწიფო სახაზინო გადამხდელის ვინაობა

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს აჭარაკურორტები

საიდენტ. კოდი 245427364

მიმღების დასახელება: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი 10591718543 (ეროვნული)

ბანკის კოდი REPLGE22

მიმღების ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა"

გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი 078 (კონტრაქტის მოწოდებისთვის) სნ 247001890

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები: ხელმძღვანელი ____________

მთ. ბუღალტერი ____________

ბ.ა.

27/05/11 10:11 წ. გვერდი 1 დან

რეფერენსი 1392895587

თანხა 50.00

თანხა სიტყვებით: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი 27.05.11

დამუშავების ბანკის ბეჭედი

ხელმოწერა

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA 20 BAGAGE22

ινδ. μεωαρμε

„ρεωαζ διδμανιZε"

I/M

„REVAZ DIDMANIDZE"

საქართველო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ბათუმი. პუშკინის ქ. №156, ბინა 16.
Georgia. Adjarian Autonomous Republic. Batumi. st. puShkini st . #156. ? 16

ტელ: 899 26 27 60
tel: 895 90 31 22

№ 15

„27" მაისი 2011 წ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიას

ი/მეწარმე რევაზ დიდმანიძე (საიდენტიფიკაციო კოდი №61001013735) გაცნობებთ, რომ გვაქვს სურვილი მონაწილეობა მივიღოთ თქვენს მიერ 23.05.2011წელს №78 საკონკურსო განცხადების შესაბამისად გამოცხადებულ კონკურსში ქობულეთის მუნიციპალიტეტის **დაბა ოჩხამურის** მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე-2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვაზე. შესაბამისად წარმოგიდგენთ, კონკურსში მონაწილეობის საფასურის 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდის საგადასახადო დავალებას და საკონკურსო წინადადებას ერთ დალუქულ კონვერტში.

პატივისცემით,

ინდ. მეწარმე: /რევაზ დიდმანიძე/

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა
შემოს. № ლ-40
27 05

ვითიბი ბანკი ჯორჯია

# საგადახდო დავალება N 3

25/05/2011

გადამხდელის დასახელება ინდ' მეწარმე ' რევაზ დიდმანიძე', 61001013735

| | | |
|---|---|---|
| 61001013735 | ანგარიში (დებეტი) | GE74VT5500000261233601 |

გადამხდელის ბანკი ქ.თბილისი, სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბანკი კოდი UGEBGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება

გადასახადის გადამხდელის [ ] ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი [ ]

მიმღების დასახელება სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში(კრედიტი) 10591718543

მიმღების ბანკი ქ.თბილისი, სს ბანკი "რესპუბლიკა" ბანკის კოდი REPLGE22

გადახდის დანიშნულება
საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე ( ურხამური დაბა, უნიკალური ნომერი 78)

დამატებითი ინფორმაცია
კონკურსანტი რევაზ დიდმანიძე 61001013735, შემსყიდველი ქობულეთის მუნიციპალიტეტი 247001890.

ხელმოწერები: ხელმძღვანელი -

მთ. ბუღალტერი - ბ.ა.

თანხა

50.00 / GEL

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები:

ბანკში შემოსვლის თარიღი 25/05/2011

გატარების თარიღი 27/05/2011

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

VTB 2

110440213

25/05/2011 4:57:47 PM

ινδ. μεωαρμε

„ρεωαζ διδμανιΖε"

RD

I/M

„REVAZ DIDMANIDZE"

საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ბათუმი, პუშკინის ქ. №156, ბინა 16
Georgia. Adjarian Autonomous Republic. Batumi. st. puShkini st . #156. ? 16
ტელ: 899 26 27 60
tel: 895 90 31 22

№ 11 „27 მაისი" 2011 წ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიას

ი/მეწარმე რევაზ დიდმანიძის ს/№61001013735
მის. ბათუმი, ალ. პუშკინის 156, ბ. 16
ტელ. 895 90 31 22

## საკონკურსო წინადადება

შევისწავლეთ, თქვენს მიერ გამოცხადებული საკონკურსო განცხადება, თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის (23.05.2011წელს №78 საკონკურსო განცხადება) შესაბამისად განვახორციელოთ ქობულეთის მუნიციპალიტეტის **დაბა ოჩხამურის** მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე-2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და გთავაზობთ აღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად, კერძოდ:

- 19960,00 (ცხრამეტიათას ცხრაასსამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი (აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია კონკურსით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი).

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში შევასრულოთ კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ჩვენს მიერ საჭიროებისამებრ უზრუნველყოფილი იქნება საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება).

საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა – 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

ინდ. მეწარმე: /რევაზ დიდმანიძე/

რევაზ დიდმანიძე
REVAZ DIDMANIDZE

ინდ. მეწარმე

„რევაზ დიდმანიძე"

I/M

„REVAZ DIDMANIDZE"

საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ბათუმი, პუშკინის ქ. №156, ბინა 16.
Georgia. Adjarian Autonomous Republic. Batumi. st. puShkini st . #156. ? 16

ტელ: 899 26 27 60
tel: 895 90 31 22

№ 12

„27" [illegible] 2011 წ.

# ინფორმაცია
## მომსახურების გაწევის ვადების შესახებ

ჩვენს მიერ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის **დაბა ოჩხამურის** მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე-2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევი ვადა იქნება ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე.

ინდ. მეწარმე: /რევაზ დიდმანიძე/

REVAZ DIDMANIDZE

ινδ. μεωαρμε

„ρεωαζ διδμανιΖε"

I/M

„REVAZ DIDMANIDZE"

საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ბათუმი, პუშკინის ქ. №156, ბინა 16.
Georgia. Adjarian Autonomous Republic. Batumi. st. puShkini st . #156, ? 16

ტელ: 899 26 27 60
tel: 895 90 31 22

№ 18

„27" [illegible] 2011 წ.

## ინფორმაცია
### ანგარიშსწორების პირობების შესახებ

ი/მეწარმე რევაზ დიდმანიძე (საიდენტიფიკაციო კოდი №61001013735) თანახმაა ანგარიშსწორება მოახდინოს გაწეულ მომსახურებაზე სათანადო დოკუმენტაციის წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ინდ. მეწარმე: /რევაზ დიდმანიძე/

ινδ. μεωαρμε

„ρεϖαζ διδμανιΖε"

I/M

„REVAZ DIDMANIDZE"

საქართველო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ბათუმი. პუშკინის ქ. №156, ბინა 16.
Georgia. Adjarian Autonomous Republic. Batumi. st. puShkini st . #156. ? 16

ტელ: 899 26 27 60
tel: 895 90 31 22


№ 19 „27" [illegible] 2011 წ.

# ინდ. მეწარმე რევაზ დიდმანიძის რეკვიზიტები

დასახელება და იურიდიული სტატუსი – ინდ. მეწარმე „რევაზ დიდმანიძე".

ხელმძღვანელი – რევაზ დიდმანიძე პ/№61001013735.

იურიდიული მისამართი – ქ. ბათუმი პუშკინის ქ. №156, ბ. 16.

საკონტაქტო ტელეფონი – 895 90 31 22

საიდენტიფიკაციო კოდი – 61001013735

email. rezo.didmanidze@gmail.com

მომსახურე ბანკი – სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", ბათუმის ფილიალი

მფო – 220101655

ა/ანგარიშის № 261233601.

ინდ. მეწარმე: /რევაზ დიდმანიძე/

ინფორმაცია ანალოგიური ხასიათის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენის შესახებ

| № | სამუშაოს დასახელება | დამკვეთი | ღირებულება ლარებში |
|---|---|---|---|
| 1. | დაბა ქედის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ღარათის სათავეობიდან და ჩართვა ოთხ ადგილას არსებულ ქსელში | ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 7500 |
| 2. | 11 სოფლის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება სათავეების, წყალდენების, რეზერვუარების, ხოვან ბაგირებისა და შიგა ქსელების მოწყობით | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 9360 |
| 3. | დაბა ხულოს სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სათავეების, გამწმენდი ნაგებობების კომპლექსური წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია – რეკონსტრუქცია | ხულოს მუნიციპალიტეტი | 4620 |
| 4. | მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის შიგა ცივ-ცხელი წყალმომარაგების, ჩამდინარე წყლებისა დაგ არე ანალოგიური სანიაღვრე სისტემების მოწყობის ერთად მრიცხველების მონტაჟით | შ.პ.ს. „GIMG“ | 22500 |
| 5. | გოგებაშვილის №1-ში მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის გარე და შიგა სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ყველა კვანძებისა და მრიცხველების მოწყობით: წყალმომარაგება, წყალარინება და სანიაღვრე სისტემები | შ.პ.ს. „უნივერსალსერვისი“ | 4100 |
| 6. | ნინოშვილის ქუჩაზე სასტუმრო კომპლექს მესხეთის გარე და შიგა სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ყველა კვანძებისა და მრიცხველების მოწყობით: წყალმომარაგება, წყალარინება და სანიაღვრე სისტემები | შ.პ.ს. „უნივერსალსერვისი“ | 3600 |
| 7. | ნინოშვილის ქუჩაზე სასტუმრო კომპლექს მედეას გარე და შიგა სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ყველა კვანძებისა და მრიცხველების მოწყობით: წყალმომარაგება, წყალარინება და სანიაღვრე სისტემები | შ.პ.ს. „უნივერსალსერვისი“ | 7300 |

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა „აჭარკაპმშენ“ და აჭარსპეცპროექტებში შესრულებული მაქვს ჩემივე ავტორობით შემდეგი პროექტები:

1. მეჯინისწყლის ახალი არტეზიული ჭაბურღილებიდან, რომელთა ჩაღმავებაცაა 50 %-100 მ. და 50 %-200 მ. მიწისქვეშა საბადოდან სასმელ-სამეურნეო წყლის მოპოვების, შემკრები 500 მ$^3$-იანი რეზერვუარების მოწყობისა და ცენტრიდანული სატუმბო სადგურის რეაბილიტაციის პროექტი მისი სამშენებლო ღირებულებით – 2 654 000 ლარისა.
2. დაბა შუახევის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება 17 კმ-ის მანძილზე და 2550 მეტრის დონეთა სხვაობით d150 მმ-იანი ლითონის წყალდენისა და შიგა ქსელის მოწყობის პროექტი ყველა გამანაწილებელი კვანძებით მისი სამშენებლო ღირებულებით 1 800 000 ლარი – ნაწილობრივი რეაბილიტაციით წყალდენისა და საბადოებისა და 500 მ$^3$-იან რეზერვუარის სრულყოფილი რეაბილიტაციით.
3. სულაბერიძის ქუჩის d400 მმ-იანი პოლიეთილენის წყალდენის მოწყობის – სიგრძით 1100 გრძ. მ-ით ყველა მკვეთ ქუჩებზე კვანძების: d160, d255 და d110 მმ-იანი მილსადენებით კვანძების მოწყობით. 360 კომლისათვის სააბონენტო d20÷25÷32÷40 და 50 მმ-იანი მილსადენებს, ვენტილებისა და მრიცხველების მოწყობით – ორთავე მხარეს d110 და d160 მმ-იანი სააბონენტო ქსელების მოწყობით ტროტუარებზე, ასევე კვარტლების ორივე მხარეს d110 მმ-იანი მილსადენებით ორი ადგილიდან გადაყვანით რგოლური ქსელის შექმნით, მათ შორის ერთ მონაკვეთში – d160 მმ-იანით, რომელზედაც დამონტაჟებულია სააბონენტო მილსადენები, აგრეთვე – 7 სახანძრო ჰიდრანტის მოწყობით. აგრეთვე ანალოგიური ხასიათისა და განაწილებით, როგორც რგოლურ ასევე ჩიხურ ქსელებზე მაქვს 80-მდე პროექტი რომლებიც წლების განმავლობაში მოქმედებაშია.

ზემოთ აღნიშნულის გარდა ქ. ბათუმის შ.პ.ს. „წყალში“ გამაჩნია 35 წლიანი გამოცდილება: 2,5 წლისა კონტროლიორად, 18 წლის ბათუმის წყალსადენებისა და საკანალიზაციო ქსელების უფროსი ინჟინრისა და 14,5 წლის საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსისა, ხოლო 1,5 წლის ქალაქ ბათუმის წყალსადენებისა და კანალიზაციის ქსელების რეაბილიტაციის მაგისტრალურ-ქსელური და სააბონენტო მილსადენების: ურდულების, ვენტილების, წყალმზომებისა და სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟით, მანძილების ერთად – შესაბამისად: d600; d500; d400; d355; d250; d225; d200; d160; d140; d125; d110; d90; d75; d63; d50; d40; d32; d25 და d20 მმ-იანებისა შესაბამისი მრიცხველებით – სათანადო ფასონური ნაწილების მონტაჟით.

ამასთანავე 1994÷2000 წლებში ვკითხულობდი ლექციებს ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციებს წყალმომარაგება და წყალარინების სპეციალობებზე.

მაქვს საკანდიდატო ნაშრომი ქ. დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტში: „მოდელირებადი სისტემების შექმნასა და ქალაქების ინტერსიური წყალმომარაგების საქმეში“.

ინდ. მეწარმე: რ. დიდმანიძე

# ხელშეკრულება

ქ. ბათუმი 10.04.2008

შ.პ.ს. „უნივერსალსერვისი"-ს წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ [illegible] სახით, ერთის მხრივ (შემდგომში: **„შემკვეთი"**) და ი/მ წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ დიდმანიძის სახით, მეორეს მხრივ (შემდგომში: „შემსრულებელი"), თითოეული ცალცალკე წოდებული **„მხარედ"** და ორივე ერთად კი „მხარეები", ვმოქმედებთ რა ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებში ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების (შემდგომში: **„ხელშეკრულება"**) თანახმად შემსრულებელი უზრუნველყოფს შემკვეთისათვის აჭარის რეგიონში შ.პ.ს. „მედეა+" ნინოშვილის ქ. №1-ში ხელშეკრულების №1 დანართით განსაზღვრულ ადგილებზე ტექნიკური პირობების/ნებართვების **(ნებართვები)** და საპროექტო სამუშაოების ჩატარებას ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ტარიფებით და საკომუნიკაციო ქსელებზე წყლის, სანიაღვრე წყლების გაყვანილობა და კანალიზაციის პროექტის მომზადებას (შემდგომში: „სამუშაო")

1.2 შესასრულებელი სამუშაო და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა მოცემულია №1 დანართში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ვალდებულებების ამოწურვამდე ერთი თვე.

2.2 ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს მის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებისაგან.

## 3. შემსრულებლის უფლება-მოვალეობანი

3.1 შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1 სრულად და ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

3.1.2 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული **ნებართვების** აღება №1 დანართით გათვალისწინებულ პროექტებთან დაკავშირებით.

3.1.3 მიაწოდოს **შემკვეთის** უფლებამოსილ წარმომადგენელს სათანადოდ შესრულებული სამუშაო იმ ვადის განმავლობაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.1 მუხლში.

3.1.4 დაუყოვნებლივ და თავისი ხარჯით გამოასწოროს უხარისხოდ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი და მიაწოდოს ის **შემკვეთს**;

3.1.5 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ჩააყენოს საქმის კურსში შემკვეთის უფლებამოსილი თანამშრომელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ;

3.1.6 მომსახურების დასრულებისთანავე მიაწოდოს **შემკვეთის** უფლებამოსილ წარმომადგენელს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ, მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

3.1.7 შეასრულოს ყველა მონაცემი, გაანგარიშება და პროექტი [illegible] სტანდარტებისა და მოთხოვნების მიხედვით.

მოახდინოს არსებული საკომუნიკაციო ქსელებში ცვლილებების შეტანა და გადამოწმება შესაბამისი უწყებების მოთხოვნის შემთხვევაში საკუთარი სახსრებით (მაგ: საკომუნიკაციო ქსელების ადგილმდებარეობის შეცვლა გზების გაფართოების ან/და დამატებით ახალი გზების გაყვანილობის შემთხვევაში);

3.1.9 უზრუნველყოს საკომუნიკაციო ქსელების დასაშვები სიმძლავრე და დატვირთვა, რაც უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მოთხოვნებს.

3.2 შემსრულებელი უფლებამოსილია:

3.2.1 მოთხოვნის შემკვეთს ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ანგარიშსწორება შესაბამისი ინვოისისა და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 4. შემკვეთის უფლება-მოვალეობანი

4.1 შემკვეთი ვალდებულია აწარმოოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულების №1 დანართით განსაზღვრული გაანგარიშების შესაბამისად.
4.2 შემკვეთი უფლება მოსილია 5.2 მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მოთხოვოს საურავის გადახდა 0,5% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 5. ანგარიშსწორება

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გაანგარიშება ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით (შემდგომში „საფასური") და აღნიშნული თანხა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად. პირველი გადახდა წარმოებს ხელშეკრულების დადებისთანავე №1 დანართით განსაზღვრული პირველი ეტაპისათვის გათვალისწინებული თანხის ოდენობით.
5.3 საბოლოო ანგარიშსწორება 7300 ლარის ოდენობით მოხდება დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემთხვევაში 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.4 მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

## 6. პასუხისმგებლობა.

6.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი.

6.2 შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი ან დააბრუნოს ყველა მიღებული თანხა 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მის მიერ ხელშეკრულების 3.1.1 და 3.1.3 მუხლების დარღვევის ან აღნიშნული მუხლების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

6.3 ხელშეკრულების 2.1 მუხლით დადგენილი ტარიფების შეცვლის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს სხვაობა.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრული

შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეული იქნა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (ფორს-მაჟორი). ასეთი გარემოების დასტურს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

7.2 მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უფლება არა აქვს მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზი.

7.3 დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოშობილ ხელშემშლელ გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები.

## 8. კონფიდენციალობა

8.1 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გასცენ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.
8.2 ვალდებულება კონფიდენციალობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დასრულების შემდეგაც.

## 9. დავის გადაწყვეტა

9.1 დავები, რომელთა გადაწყვეტა ვერ მოხერხდება მოლაპარაკებების გზით, ექვემდებარება განხილვას სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

## 10. დასკვნითი დებულებები

10.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.
10.2 ყველა ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში ხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით და ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდგომ.

მხარეთა ხელმოწერები

| | |
|---|---|
| შემკვეთი: | შემსრულებელი: |
| შ.პ.ს. „უნივერსალსერვისი" | ი/მ „რევაზ დიდმანიძე" |
| ქ. თბილისი ბელიაშვილის ქ. 153 | ქ. [illegible] ქ. № 156 ბ 16 |
| საიდ № 202224039 | საიდ. № [illegible]5569532 |
| არჩილ/ბაცია[illegible] | რევაზ დიდმანიძე |
| დირექტორი | დირექტორი |

# ხელშეკრულება

ქ. ბათუმი 10.04.2008

შ.პ.ს. „უნივერსალსერვისი"-ს წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ ბალიაშვილის სახით, ერთის მხრივ (შემდგომში: **„შემკვეთი"**) და ი/მ წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ დიდმანიძის სახით, მეორეს მხრივ (შემდგომში: „შემსრულებელი"), თითოეული ცალცალკე წოდებული **„მხარედ"** და ორივე ერთად კი **„მხარეები"**, ვმოქმედებთ რა ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებში ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების (შემდგომში: **„ხელშეკრულება"**) თანახმად შემსრულებელი უზრუნველყოფს შემკვეთისათვის აჭარის რეგიონში სასტუმრო ს.ს. „მესხეთი"-ს ხელშეკრულების **№1** დანართით განსაზღვრულ ადგილებზე ტექნიკური პირობების/ნებართვების **(ნებართვები)** და საპროექტო სამუშაოების ჩატარებას ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ტარიფებით და საკომუნიკაციო ქსელებზე წყლის, სანიაღვრე წყლების გაყვანილობა და კანალიზაციის პროექტის მომზადებას (შემდგომში: **„სამუშაო"**)

1.2 შესასრულებელი **სამუშაო** და **შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა** მოცემულია **№1** დანართში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. ხელსეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ვალდებულებების ამოწურვამდე ერთი თვე.

2.2 ხელშეკრულების შეწყვეტა **მხარეებს** არ ათავისუფლებს მის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებისაგან.

## 3. შემსრულებლის უფლება-მოვალეობანი

3.1 შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1 სრულად და ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

3.1.2 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული **ნებართვების** აღება №1 დანართით გათვალისწინებულ პროექტებთან დაკავშირებით.

3.1.3 მიაწოდოს **შემკვეთის** უფლებამოსილ წარმომადგენელს სათანადოდ შესრულებული **სამუშაო** იმ დროის განმავლობაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების **2.1** მუხლში.

3.1.4 დაუყოვნებლივ და თავისი ხარჯით გამოასწოროს უხარისხოდ შესრულებული **სამუსაო** ან მისი ნაწილი და მიაწოდოს ის **შემკვეთს;**

3.1.5 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ჩააყენოს საქმის კურსში შემკვეთის უფლებამოსილი თანამშრომელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ;

3.1.6 მომსახურების დასრულებისთანავე მიაწოდოს **შემკვეთის** უფლებამოსილ წარმომადგენელს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ, მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

3.1.7 შეასრულოს ყველა მონაცემი, გაანგარიშება და პროექტი ადგილობრივი სტანდარტებისა და მოთხოვნების მიხედვით.

შესრულების ყველა მონაცემი, გაანგარიშება და პროექტი ადგილობრივი სტანდარტებისა და მოთხოვნების მიხედვით.

3.1.8 მოახდინოს არსებული საკომუნიკაციო ქსელებში ცვლილებების შეტანა და გადამოწმება შესაბამისი უწყებების მოთხოვნის შემთხვევაში საკუთარი სახსრებით (მაგ: საკომუნიკაციო ქსელების ადგილმდებარეობის შეცვლა, გზების გაფართოების ან/და დამატებით ახალი გზების გაყვანილობის შემთხვევაში);

3.1.9 უზრუნველყოს საკომუნიკაციო ქსელების დასაშვები სიმძლავრე და ლოკაციონება, რაც უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მოთხოვნებს.

3.2 შემსრულებელი უფლებამოსილია:

3.2.1 მოითხოვოს შემკვეთის ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ანგარიშსწორება შესაბამისი ინვოისისა და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 4. შემკვეთის უფლება-მოვალეობანი

4.1 შემკვეთი ვალდებულია აწარმოოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულების №1 დანართით განსაზღვრული გაანგარიშების შესაბამისად.
4.2 შემკვეთი უფლებამოსილია 5.2 მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მოითხოვოს საურავის გადახდა 0,5% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 5. ანგარიშსწორება

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გაანგარიშება ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით (შემდგომში „საფასური") და აღნიშნული თანხა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად. პირველი გადახდა წარმოებს ხელშეკრულების დადებისთანავე №1 დანართით განსაზღვრული პირველი ეტაპისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობით.
5.3 საბოლოო ანგარიშსწორება 3600 ლარის ოდენობით მოხდება დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემთხვევაში 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.4 მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

## 6. პასუხისმგებლობა.

6.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი.

6.2 შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი ან დააბრუნოს ყველა მიღებული თანხა 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მის მიერ ხელშეკრულების 3.1.1 და 3.1.3 მუხლების დარღვევის ან აღნიშნული მუხლების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

6.3 ხელშეკრულების 2.1 მუხლით დადგენილი ტარიფების შეცვლის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს სხვაობა.

## 7. ფორს-მაჟორი

შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულ იქნა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (ფორს-მაჟორი). ასეთი გარემოების დასტურს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

7.2 მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უფლება არა აქვს მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზი.

7.3 დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოშობილ ხელშემშლელ გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები.

## 8. კონფიდენციალობა

8.1 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გაახმაურონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.

8.2 ვალდებულება კონფიდენციალობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

## 9. დავის გადაწყვეტა

9.1 დავები, რომელთა გადაწყვეტა ვერ მოხერხდება მოლაპარაკებების გზით, ექვემდებარება განხილვას სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

## 10. დასკვნითი დებულებები

10.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

10.2 ყველა ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში ხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით და ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდგომ.

### მხარეთა ხელმოწერები

| | |
|---|---|
| შემკვეთი: | შემსრულებელი: |
| შ.პ.ს. „უნივერსალსერვისი" | ი/მ „რევაზ დიდმანიძე" |
| ქ. თბილისი ბელიაშვილის ქ.№3 | ქ. ბათუმი პუშკინის ქ. № 156 ბ 16 |
| საიდ № 202224039 | საიდ. კოდ. № 145569532 |
| არჩილ/ზაცია[illegible] | რევაზ დიდმანიძე |
| დირექტორი | დირექტორი |

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

| | |
|---|---|
| განაცხადის ნომერი: | 302493 |
| განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: | B11075704 |
| ამონაწერის მომზადების თარიღი: | 24/05/2011 16:41:37 |

---

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | რევაზ დიდმანიძე |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ქ.ბათუმი, პუშკინის ქ. №156 ბ.16 |
| ძველი საიდენტიფიკაციო კოდი: | 145569532 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 61001013735 |
| სამართლებრივი ფორმა: | ინდივიდუალური მეწარმე |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 23/08/2006 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | ბათუმის საგადასახადო ინსპექცია |
| საგადასახადო ინსპექცია: | ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგ-დო ინსპექცია) |

---

---

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა102011098395 20/05/2011 16:11:49

  რევაზ დიდმანიძე ს/ნ 145569532 პ/ნ 61001013735

  საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება

  საფუძველი: შეტყობინება, N0814488, 20.05.2011, ბათუმის რეგიონული ცენტრი

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქუთაისის საქალაქო
25 მაისი 2011 წ.
№8557

ინდივიდუალურ მეწარმე
„რევაზ დიდმანიძე"-ს

თქვენი 2011 წლის 25 მაისის წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების ანბანური ჟურნალის მონაცემებით ინდივიდუალურ მეწარმე „რევაზ დიდმანიძე "-ს მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

ნანა კახიძე

კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების
განყოფილების სპეციალისტის მ/შემსრულებელი

4600 ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11 ☎: 3 46 02

VTB

№ 36
24 მაისი 2011

# ცნობა

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" ადასტურებს, რომ 2011 წლის 24 მაისის მდგომარეობით ი/მ რევაზ დიდმანიძეს ს/კ 61001013735 (ა/ნ GE74VT5500000261233601 ყადაღა ან საინკასო დავალება არ ერიცხება.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას"
ბათუმის ფილიალის საოპერაციო
განყოფილების უფროსი

/ გიორგი დოლიძე /

24.05.2011

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბათუმის ფილიალი
საქართველო 6000 ბათუმი
+(995) 88222-2-35-03

ID: 164237

2581104

[illegible]

შემოსავლების სამსახური

**საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი**

61001013735

**გადამხდელის დასახელება**

რევაზ დიდმანიძე

**ხელმძღვანელი**

**გადამხდელის მისამართი**

ბათუმი / მეჯვრისხევის 156 ბ16

**ელ-ფოსტა**

anibani63@mail.ru

**ტელეფონი**

899558646

**ცნობა**

ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ

მასზედ, რომ "რევაზ დიდმანიძე"-ს (ს/კ 61001013735) ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ერიცხება სალდირებული ზედმეტობა -99.01 ლარი.

| N | გადასახადის დასახელება | ძირითადი | სანქცია | საურავი | ზედმეტობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საშემოსავლო გადასახადი | 0 | 0 | 5.95 | 0 |
| 2 | სოც დაზღვევის გადასახადი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან | 0 | 0 | 0 | 104.96 |
| 3 | ქონების გადასახადი | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სულ : | 0 | 0 | 5.95 | 104.96 |

თარიღი: 25/05/2011

**ანგარიშის რეკვიზიტები:**
სსიპ "შემოსავლების სამსახური" ს მომსახურე ბანკი სს "ქორ სტანდარტ ბანკი". ბანკის კოდი | 220101945
სსიპ "შემოსავლების სამსახური" ს ანგარიში GE14 KS00 0000 0000 0777 77;
სსიპ "შემოსავლების სამსახური" ს ვებ გვერდი: www.rs.ge; ცხელი ხაზი: 077

## ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქობულეთი

27 მაისი 2011 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 23 მაისს გამოცხადებული **№78** კონკურსის საშუალებით, რომელიც შეეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე-2 ეტაპი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე — ასლან ყურშუბაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — არჩილ დუმბაძე

კომისიის წევრები — ოლეგ კარალიძე

ფატი ჯინჭარაძე

ზაალ ბაჯელიძე

გურამ ვერულიძე

კომისიის მდივანი — ნათია ლორია

კომისიის აპარატი — დავით ნოღაიდელი

ბადრი რომანაძე

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის**

**ოქმი №2**

ქ. ქობულეთი 27 მაისი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

- ასლან ყურშუბაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
- არჩილ დუმბაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ნათია ლორია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის მდივანი.
- ფატი ჯინჭარაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.
- ოლეგ კარალიძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.
- გურამ ვერულიძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი – კომისიის წევრი.
- ზაალ ბაჯელიძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.
- დავით ნოღაიდელი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი – კომისიის აპარატის წევრი.
- ბადრი რომანაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი – კომისიის აპარატის წევრი.

*სხდომის დღის წესრიგი:*

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 23 მაისს გამოცხადებული **№78** კონკურსის სტატუსის განსაზღვრა, რომელიც შეეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების შპს "აჭარსპეცპროექტი"-სა და ინდივიდუალური მეწარმე „რევაზ დიდმანიძე"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასებას და გამარჯვებულის გამოვლენას.

*მოისმინეს:* კომისიის მდივანის ნათია ლორიას გამოსვლა, რომელმაც კომისიას მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით 2011 წლის 23 მაისს გამოცხადებულ **№78** კონკურსში დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა პრეტენდენტმა, კერძოდ ინდივიდუალურმა მეწარმემ „რევაზ დიდმანიძე"-მ, ხოლო შ.პ.ს. „აჭარსპეცპროექტმა" დაგვიანებით წარმოადგინა საკონკურსო წინადადება და დალუქული კონვერტი გაუხსნელად დაუბრუნდა კონკურსანტს.

1. ინდივიდუალური მეწარმე „რევაზ დიდმანიძე"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ღირებულება შეადგენს 19960 (ცხრამეტიათას ცხრაას სამოცი) ლარს, ხოლო მომსახურების გაწევის ვადა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 60 (სამოცი) კალენდარულ დღეს. ასევე წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია კონკურსანტის მიერ შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესახებ.

2. საკონკურსო განცხადების „5.2." პუნქტის შესაბამისად 2011 წლის 27 მაისს 11:30 სთ გაიმართა ზეპირი ვაჭრობა. ინდივიდუალური მეწარმე „რევაზ დიდმანიძე"-მ ზეპირი ვაჭრობის მესამე რაუნდში დააფიქსირა საკონკურსო წინადადების საბოლოო ფასი 19000 (ცხრამეტიათასი) ლარი (დაერთო ოქმს).

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებმა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შეაფასეს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (დაერთო ოქმს).

*კომისიამ დაადგინა:*

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს ინდივიდუალური მეწარმე „რევაზ დიდმანიძე".

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 23 მაისს გამოცხადებულ №78 კონკურსს მიენიჭოს სტსტუსი - გამარჯვებული გამოვლენილია;

3. კომისიის აპარატმა უზრუნველყოს:

– დადგენილი წესის შესაბამისად, კომისიის სხდომის ოქმის ხელმოწერის შემდეგ, მისი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასკანერებული სახით წარდგენა (სააგენტოს ელექტრონული ფოსტა contest@procurement.gov.ge) საკონკურსო განცხადების სტატუსის განსაზღვრის მიზნით.

– კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მომზადება.

– სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით გამარჯვებული პრეტენდენტის ინდივიდუალური მეწარმე „რევაზ დიდმანიძე"-ს მოწვევა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე — ასლან ყურშუბაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — არჩილ დუმბაძე

კომისიის წევრები — ოლეგ კარალიძე

ფატი ჯინჭარაძე

ზაალ ბაჯელიძე

გურამ ვერულიძე

ნათია ღორია

კომისიის მდივანი — დავით ნოღაიდელი

კომისიის აპარატი — ბადრი რომანაძე

თარიღი "27" მაისი 2011 წელი

# კონკურსი №78

ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისია

შესყიდვის ობიექტი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კერძოდ: დაბა ოჩხამურში შემავალი დასახლებების (აგურის, ქვედა ოჩხამურის, ზედა ოჩხამურის, ტუნგის, ციცხლაურის, ლიმონტრესტის, თიკერის, ჯიხანჯურის, ბაღჩების) წყალმომარაგებისა და ინდივიდუალური გამრიცხველიანების სისტემის მოწყობის დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვა

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 19960 (ცხრამეტიათას ცხრაას სამოცი) ლარი

| № | კონკურსანტის დასახელება | კონკურსანტის მიერ საკონკურსო წინადადებით შემოთავაზებული ფასი (ლარი) | ზეპირი ვაჭრობის პირველ რაუნდში შემოთავაზებული ფასი (ლარი) | ზეპირი ვაჭრობის მეორე რაუნდში შემოთავაზებული ფასი (ლარი) | ზეპირი ვაჭრობის მესამე რაუნდში შემოთავაზებული ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინდ. მეწარმე "რევაზ დიდმანიძე" | 19960 ლ | 19960 ლ. | 19960 ლ. | 19 000 ლ. |

საკონკურსო კომისია

კომისიის თავმჯდომარე — ა. ყურშუბაძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ა. დუმბაძე

კომისიის წევრები — ფ. ჯინჭარაძე

ო. კარალიძე

ზ. ბაჯელიძე

გ. ვერულიძე

კომისიის მდივანი — ნათია ლორია

ინდ. მეწარმე "რევაზ დიდმანიძე" — რ. დიდმანიძე

[illegible] "27" "[illegible]" 2011 წელი

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] 1996 [illegible] | 19960 |
| 4 | [illegible] 60 [illegible] | 60 დღე |
| 5 | [illegible] | + |
| 6 | [illegible] | + |
| 7 | [illegible] | + |
| 8 | [illegible] | + |
| 9 | [illegible] | + |
| 10 | [illegible] | + VTB ბანკი |
| 11 | [illegible] | + |

დასკვნა: [illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| | | [illegible] |
| | | [illegible] |
| [illegible] | 0.5 | 10 * 0,5 = 5 |
| [illegible] | 0.4 | 10 × 0,4 = 4 |
| [illegible] | 0.1 | 10 × 0,1 = 1 |
| [illegible] | 1 | 10 |

[illegible] [signature] [illegible]

[illegible] "27" "[illegible]" 2011 [illegible]

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] 19960 [illegible] | 15980 |
| 4 | [illegible] 60 [illegible] | 60 |
| 5 | [illegible] | + |
| 6 | [illegible] | + |
| 7 | [illegible] | + |
| 8 | [illegible] | + |
| 9 | [illegible] | + |
| 10 | [illegible] | + |
| 11 | [illegible] | + |

[illegible]: [illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| | | [illegible] |
| | | [illegible] |
| [illegible] | 0.5 | 4.0 |
| [illegible] | 0.4 | 4.0 |
| [illegible] | 0.1 | 1.0 |
| [illegible] | 1 | 9.0 |

[illegible] [illegible] (signature) [illegible]

[illegible] "27" "[illegible]" 2011 [illegible]

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] 19960 [illegible] | 19960 ₾. |
| 4 | [illegible] 60 [illegible] | 60 [illegible] |
| 5 | [illegible] | + |
| 6 | [illegible] | + |
| 7 | [illegible] | + |
| 8 | [illegible] | + |
| 9 | [illegible] | + |
| 10 | [illegible] | + |
| 11 | [illegible] | + |

[illegible] [illegible] 19000 [illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| | | [illegible] |
| | | [illegible] |
| [illegible] | 0.5 | 6 |
| [illegible] | 0.4 | 10 |
| [illegible] | 0.1 | 6 |
| [illegible] | 1 | 7.6 |

[illegible] [illegible]

[illegible] "27" "[illegible]" 2011 წელი

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] 19960 [illegible] | 19 060 |
| 4 | [illegible] | 60 |
| 5 | [illegible] | + |
| 6 | [illegible] | + |
| 7 | [illegible] | + |
| 8 | [illegible] | + |
| 9 | [illegible] | + |
| 10 | [illegible] | + |
| 11 | [illegible] | + |

[illegible] [illegible handwritten comment]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| | | [illegible] |
| | | [illegible] |
| [illegible] | 0.5 | 4.0 |
| [illegible] | 0.4 | 4.0 |
| [illegible] | 0.1 | 1.0 |
| [illegible] | 1 | 9.0 |

[illegible] [signature] [illegible]

[illegible] "[illegible]" 2011 წელი

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] 19960 [illegible] | 19000 |
| 4 | [illegible] 60 [illegible] | 60 |
| 5 | [illegible] | + |
| 6 | [illegible] | + |
| 7 | [illegible] | + |
| 8 | [illegible] | + |
| 9 | [illegible] | + |
| 10 | [illegible] | + |
| 11 | [illegible] | + |

[illegible] [illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| | | [illegible] |
| | | [illegible] |
| [illegible] | 0.5 | 4.0 |
| [illegible] | 0.4 | 4.0 |
| [illegible] | 0.1 | 1.0 |
| [illegible] | 1 | 9.0 |

[illegible] [signature] [illegible]

[illegible] "27" "[illegible]" 2013 წელი

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] 19960 [illegible] | 19960 |
| 4 | [illegible] 60 [illegible] | კი + (60 ს/დღ) |
| 5 | [illegible] | კი + |
| 6 | [illegible] | კი + |
| 7 | [illegible] | კი + |
| 8 | [illegible] | კი + |
| 9 | [illegible] | კი + |
| 10 | [illegible] | კი + |
| 11 | [illegible] | კი + |

[illegible] [illegible] 19000 [illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| | | [illegible] |
| | | [illegible] |
| [illegible] | 0.5 | 8 (4,0) |
| [illegible] | 0.4 | 9 (3,6) |
| [illegible] | 0.1 | 9 (0,9) |
| [illegible] | 1 | 8,5 |

[illegible] [illegible]

[illegible] "27" "[illegible]" 2011 [illegible]

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] 19960 [illegible] | 19960 ლ |
| 4 | [illegible] 60 [illegible] | 60 ს/ღ |
| 5 | [illegible] | + |
| 6 | [illegible] | + |
| 7 | [illegible] | + |
| 8 | [illegible] | + |
| 9 | [illegible] | + |
| 10 | [illegible] | + |
| 11 | [illegible] | + |

[illegible]: [illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| | | [illegible] |
| | | [illegible] |
| [illegible] | 0.5 | 6 |
| [illegible] | 0.4 | 10 |
| [illegible] | 0.1 | 6 |
| [illegible] | 1 | 7.6 |

[illegible] [illegible]

**საქართველო**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა**
**ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

6200 ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141
ტელ-ფაქსი: 6-72-09

№ 01-36/974

30 მაისი 2011 წელი

ინდ. მეწარმე „რევაზ დიდმანიძე"

მისამართი: ქ. ბათუმი, პუშკინის ქუჩა №156, ბ.16

საკონკურსო კომისიამ განიხილა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით (საკონკურსო განცხადების უნიკალური ნომერი 78) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია (შემოს №დ-40, 27,05,2011წელი). განხილვის და შეფასების შედეგად კომისიამ დაადგინა, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება კომისიის მიერ დადგენილ საკონკურსო პირობებს.

გთხოვთ არაუგვიანეს სამი დღის ვადაში მობრძანდეთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

მუნიციპალიტეტის გამგებელი,
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე — ასლან ყურშუბაძე

## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №108

ქ. ქობულეთი „01“ „ივნისი“ 2011 წელი

ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი, (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნიკო ზერაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმე „რევაზ დიდმანიძე“ (ქ. ბათუმი, პუშკინის ქუჩა №156, ბ.16), რევაზ დიდმანიძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (კონკურსის ნომერი 78) ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 19000 (ცხრამეტიათასი) ლარად (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 "მიმწოდებელი" – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი, რომლებიც უზრუნველყოფენ გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას, ასევე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას;

### 3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მე–2 ეტაპი) დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კერძოდ: დაბა ოჩხამურში შემავალი დასახლებების (აგურის, ქვედა ოჩხამურის, ზედა ოჩხამურის, ტუნგოს, ცეცხლაურის, ლიმონტრესტის, თიკერის, ჯიხანჯურის, ბაღჩების) წყალმომარაგებისა და ინდივიდუალური გამრიცხველიანების სისტემის მოწყობის დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

**4.** სტანდარტები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და დადგენილ სტანდარტებს.

**5.** მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება.

**6.** შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**7.** ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება არ განიხილება.

**8.** მხარეთა უფლება–მოვალეობები

**8.1** შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

**8.2** შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით;

**8.3** მიმწოდებელი უფლებამოსილია:
8.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

**8.4** მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება,
8.4.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
8.4.3 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
8.4.4 უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობის განხორციელება პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება) სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დასრულებამდე.

**9.** ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**10.** ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 1%–ს ოდენობით,
10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

**11.** ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) მხარეთა შეთანხმება;
ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
გ) ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მომსახურება განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნის დაცვით.

**13.** დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

**14.** სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**15.** ხელშეკრულების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და წყვეტს მოქმედებას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასრულებისთანავე.

**16.** განსაკუთრებული პირობები

16.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, გვერდზე, 4 (ოთხი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;
16.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ,,მიმწოდებელს", ხოლო სამი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

17. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
17.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"–ს ქობულეთის ფილიალი, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
17.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

18. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

18.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქ. ბათუმი, პუშკინის ქუჩა №156, ბ.16
18.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220101655, ა/ა 261233601; საიდენტიფიკაციო კოდი 61001013735
18.3 „მიმწოდებელი"– ინდივიდუალური მეწარმე „რევაზ დიდმანიძე"

**„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი,**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნიკო ზერაძე

საკრებულო 247001890

„მიმწოდებელი"– ინდივიდუალური მეწარმე „რევაზ დიდმანიძე" რევაზ დიდმანიძე

რევაზ დიდმანიძე REVAZ DIDMANIDZE INDIVIDUAL ENTERPRISE 145569532